საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, გივი კარტოზიას ქ. №10-ში (ს/კ №01.10.16.004.194) მშენებლობადამთავრებული „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს (შენობა IV კლასი) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2019 წლის 23 იანვარი

შ.პ.ს. „ემკვადრატი იპოდრომთან“ (ს/კ 405108244) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, გივი კარტოზიას ქ. №10-ში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.16.004.194) მშენებლობადამთავრებული „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, მისი შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

საექსპერტო დასკვნა შესრულებულია შ.პ.ს. “ედრი+”-ის საპროექტო ჯგუფის მიერ. ექსპერტი ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე.

სამშენებლო ნორმებისა და წესების – “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით მშენებლობისთვის გამოყოვილი უბანი მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას.

დაპროექტების ნორმების – “სამშენებლო კლიმატოლოგია”-ს მიხედვითაკი: (შესაბამისად ცხრილები 17 და 18):

– თოვლის საფარის წონა შეადგენს–0,50კპა-ს (50 კგძ/მ^2).

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი – 0,85 კპა-ს (85 კგძ/მ^2), 15-წელიწადში ერთხელ.

ჩვენს მიერ შესწავლილი „მრავალფუნქციური კომპლექსი“ ძირითადად აშენებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი, შ.პ.ს. „HAUSART PROJECT 01.10.16“-ის საპროექტო ჯგუფში დამუშავებული და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული და მშენებლობის ნებართვაგაცემული (ბრძანება №3376370 05.07.2017 წ.) კორექტირებული არქიტექტურული და შ.პ.ს. „ჯი აი პი ენ“-ის საპროექტო ჯგუფში დამუშავებული კორექტირებული კონსტრუქციული პროექტების შესაბამისად.

შენობის კონსტრუქციული საანგარიშო სქემა კარკასულია. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის ფილებით, რომლებიც ქმნიან სიხისტის ჰორიზონტალურ დისკოს და კარკასის ელემენტებთან ერთად უზრუნველყოფენ შენობის სივრცით სიხისტეს. საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის კარკასის კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშება სტატიკურ და დინამიურ დატვირთვებზე შესრულებულია SAP-2000 ვერსია v15.2.1 პროგრამული კომპლექსის გამოყენებით. ანგარიშით მიღებული ძალვების მიხედვით შეირჩა ფუძე საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების კვეთები და არმირება. მშენებლობის პროცესში განხორციელებული, შეთანხმებულ პროექტთან

შეუსაბამო ცვლილებები დეტალურად ასახულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია“-ს №000109 დადგენილებაში №4-11დ29-19 09.01.2019, კერძოდ:

A-ბლოკი: „1-9“ ფასადი: „შეცვლილია რელიეფის დონე, რის ხარჯზეც დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები და შ.შ.მ. პირთა პანდუსები, ასევე ეზოში დამატებით მოწყობილია კაპიტალური საყვავილეები. +0.00 ნიშნულზე „3-6“ მონაკვეთში ე.წ. (ალპოლიკით) შეფუთულია საკომუნიკაციო მილები“.

„9-1“ ფასადი: „+0.00 ნიშნულზე „6-3“ მონაკვეთში ე.წ. (ალპოლიკით) შეფუთულია საკომუნიკაციო მილები. „B-C“ მონაკვეთში არკაში დამატებით მოწყობილია კონდიციონერების აგრეგატები. +61.060 ნიშნულზე „8-7“ და „3-2“ მონაკვეთებში შემცირებულია კიბის უჯრედის და ლიფტის სამანქანოს ოთახის სიმაღლე“.

გეგმების მიხედვით: „-3.000 ნიშნულზე, „ა“ ღერძზე „2-1“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ზედაპირული წყალშემკრები ცხაური. „7-6“ და „5-4“ მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია კოლონა. „7-8“ მონაკვეთში „D“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია საევენტილაციო ხვრელი. +0.00 ნიშნულზე „3-2“ მონაკვეთში კარს და ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი. „B-C“ მონაკვეთში არკაში დამატებით მოწყობილია საევენტილაციო შახტა“.

საბავშვო ბაღი: „1-4“ ფასადი: „2-3“ მონაკვეთში შეცვლილია საჩრდილობლის ფორმა, კონსტრუქციის ტიპი და მასალა“.

გეგმების მიხედვით: „+10.150 ნიშნულზე „2-3“ მონაკვეთშიშეცვლილია პარაპეტის ფორმა. +7.450 ნიშნულზე გაზრდილია შახტების სიმაღლე. ფასადებზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. ასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია შენობის მოსაპირკეთებელი მასალა და ფერი. ობიექტზე ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის ნიშნული. შემცირებულია ღიობის სიმაღლე“.

B-ბლოკი: „სახურავზე ლიფტის შახტებს შორის შეცვლილია იატაკის ფილის ნიშნული. დამატებულია კაპიტალური კედლები და კერები, ასევე მცირე ზომის ღიობები ცხაურით. „6-7“ მოწყობილი ლითონის კიბის საფეხურების რაოდენობა გაზრდილია, ხოლო „7-8“ მონაკვეთში დამატებულია ასევე ლითონის კიბე. „1“ ღერძის გარეთ დამატებულია კიბე, +6.00 ნიშნულზე დამატებულია მოაჯირი და მოწყობილია საზაფხულო ფართი“.

„1-11“ ფასადი: „+6.00 ნიშნულს ქვემოთ ლითონის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური მოაჯირები, დამატებულია ორი კარი. „ა-დ“ და „ა-დ“ (საევარაუდოდ უნდა იყოს „დ-ა“. ექსპერტი) ფასადებზე +12.600 ნიშნულის ქვევით დამატებულია ღიობები“.

C-ბლოკი: „14-1“ ფასადი: „+0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი და კარებების ნაწილის მდებარეობა. აზრდილია გარე აგრეგატების რაოდენობა და დამატებულია თუნუქის შეფუთვები.

„1-14“ ფასადი: „+6,00 ნიშნულზე გაზრდილია ღიობების გაბარიტი. -3.00 ნიშნულზე „D/A“ ღერძზე დამატებულია აირგამწოვი ღიობები (შახტები). ივნების ძირში დამატებულია მოპირკეთება. სავენტილაციო შახტების მოწყობა და პარაპეტების სიმაღლე არ შეესაბამება საპროექტოს. შეცვლილია სახურავზე გასასვლელი კარის სიმაღლე. დამატებულია აირგამწოვების კაპიტალური დონეები და მეხამრიდი. შადარბაზოების ბაქნებთან მოწყობილია ცხაურები. შეცვლილია ლიფტის და გარე კიბის უჯრედის გადახურვის ფილის ნიშნული. დამატებულია მეხამრიდები. აზრდილია გარე კიბეების მოაჯირების სიმაღლე. შენობის ძირში დამატებულია მოპირკეთება და ირგვლივ მოწყობილია საფეხმავლო ბილიკი. ტერიტორიაზე დამატებულია კაპიტალური საჰაეროები რომლებიც დაკავშირებულია მიწისქვეშა ავტოსადგომებთან. სადარბაზოებში გაუქმდა კედელი კარით“.

ამჟამად მშენებლობა დამთავრებულია. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია“-ს დადგენილებაში დაფიქსირებული შენიშვნები ძირითადად ეხება შენობის არქიტექტურულ ნაწილს და ის შენობის მდგრადობაზე გავლენას არ ახდენს, ხოლო რაც შეეხება კონსრუქციულ ელემენტთან მიმართებაში დაფიქსირებულ შენიშვნას (**A-ბლოკი: გეგმების მიხედვით:** „7-6“ და „5-4“ მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია კოლონა.), ჩვენს მიერ პროექტის მთავარ კონსტრუქტორთან ო. ქვრივიშვილთან ერთად შემოწმებულ იქნა ზემოაღნიშნული კონსტრუქციული ცვლილებების გათვალისწინებით (დამატებით ორი სვეტის მოწყობით „7-6“ და „5-4“ მონაკვეთებში) მზიდ ელემენტებში აღძრული ძალვები და მათი ზემოქმედება არსებულ კონსტრუქციებზე. ანგარიშით მიღებული შედეგების ანალიზის შემდეგ დავრწმუნდით, რომ მიუხედავად კონსტრუქციული ცვლილებებისა, უზრუნველყოფილია შენობის მდგრადობა და ეს ცვლილებები არ წარმოადგენს საფრთხეს შენობის შემდგომი ექსპლოატაციისათვის. ანგარიშით მიღებული შედეგების ანალიზის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ინსპექციის სამსახურის სპეციალისტების მიერ იდენტიფიცირებული დარღვევებით ნაწარმოები მშენებლობა კონსტრუქციულად გამართულია და უარყოფით გავლენას არ ახდენს შენობის მდგრადობაზე.

შ.პ.ს. „ედრი+“-ის
დირექტორი ი. მანწკავა

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

მისამართი თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 13 ბ. 146

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სამსახური

გაცემის თარიღი 15.11.2010

მოქმედების ვადა 15.11.2020

რეგისტრაციის თარიღი 15.11.2010

ბ.ა.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამკვეთი: სსიპ სრ; შემსრულებელი: შპს „კაბადონი +"; სფს რეგისტრაციის № 05-1623

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი № 01003019723

სახელი რამაზი

გვარი აფხაძე

დაბადების თარიღი 16.07.1949

დაბადების ადგილი ლანჩხუთი

№ ბ 1405779

პირადი ხელმოწერა

დიპლომი

Я № 182258

ეს დიპლომი მიეცა აფხაძე რამაზი ნოდარის-ძეს

მასზე, რომ იგი 1968 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1974 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1974 წ. „29" ივნისის გადაწყვეტილებით რ.ნ. აფხაძეს მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ.პ.

ქალაქი თბილისი 1974წ. „5" X

სარეგისტრაციო №სტ-3557

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Я № 182258

Настоящий диплом выдан Апхадзе Рамазу Нодаровичу

в том, что он в 1968 году поступил в Грузинский политехнический ин-ут им. В.И. Ленина

и в 1974 году окончил полный курс названного института

по специальности Промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „29" июня 1974 г.

Апхадзе Р.Н.

присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „5" X 1974 г.

Регистрационный № ст-3557

Московская типография Гознака. 1972.